

ჰენრი კისინჯერი

## კრიზისი

ორი უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური  
კრიზისის ანატომია

ინგლისურიდან თარგმნა ეკატერინე  
სუმბათაშვილმა



**ჰენრი კისინჯერი: კრიზისი**

მთარგმნელი ეკატერინე სუმბათაშვილი რედაქტორი ნანა ჯოხაძე ყდის დიზაინერი გიორგი მადრაძე დიზაინერები: გიორგი მადრაძე, ია მახათაძე ტენიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი ქართული გამოცემა ბაჩო აკალაია სამხედრო-პოლიტიკური ბიბლიოთეკა, 2019

ISBN 978-9941-30-234-3

Henry Kissinger  
**CRISIS**

All rights reserved.

Translated by Ekaterine Sumbatashvili

Georgian translation published by Military-Political School of Bacho Akhalaia, 2019  
All rights reserved.

*ედვინება ჩემს შვილიშვილებს სემს,  
სოფის, უილსა და ჯულიანას*



## შინაარსი

შესავალი	7
ახლო აღმოსავლეთის 1973 წლის ომი	11
სტრატეგიის შემუშავება	20
დიპლომატიური მენუეტი გაეროში	49
1973 წლის 7 ოქტომბერი	104
1973 წლის 8 ოქტომბერი	137
1973 წლის 9 ოქტომბერი: ისრაელის კრიზისი, მომარაგება საჰაერო გზით და ცეცხლის შეწყვეტის დიპლომატია	173
1973 წლის 10 ოქტომბერი	194
1973 წლის 11 ოქტომბერი	215
1973 წლის 12 ოქტომბერი	231
1973 წლის 13 ოქტომბერი	256
1973 წლის 14 ოქტომბერი	296
1973 წლის 15-16 ოქტომბერი	308
1973 წლის 17 ოქტომბერი	324
1973 წლის 18 ოქტომბერი	336
1973 წლის 19 ოქტომბერი	346
1973 წლის 20-22 ოქტომბერი	359
1973 წლის 23-27 ოქტომბერი: აშშ-ის საბრძოლო მზადყოფნა და კრიზისის დასასრული	363
ინდოჩინეთის უკანასკნელი თვე	495
დასასრულის დასაწყისი	505
სიანუკის ინტერმედია	540

ევკუაციის განხორციელება	547
ავტორის მადლობა	637
საძიებელი	639

## Preface

It brings us immense joy to introduce a work by the esteemed Henry Kissinger in Georgian as part of our library series. Kissinger, widely regarded as one of the greatest American statesmen, needs no elaborate introduction to Georgian readers. However, as is often the case with towering figures, opinions on Dr. Kissinger vary widely. Some laud him as a Nobel Peace Prize laureate, while others critique his associations with dictators and contentious policies. Nevertheless, the enduring relevance of Kissinger's insights remains indisputable.

Reflecting on Kissinger's extraordinary journey from fleeing Nazi Germany at the age of 15 to emerging as a leading figure in American diplomacy invites intriguing reflections on personal and national triumphs. The publication of "Crisis" offers readers a captivating journey into pivotal historical moments, including the Yom Kippur War and the fall of Vietnam. Despite occasional gaps in dialogues, whether intentional or due to technical glitches, these instances ignite curiosity and invite readers to engage imaginatively.

The book adeptly elucidates the intricate interplay between war and politics, unveiling the constraints and opportunities each domain imposes on the other. Through vivid narratives of the Yom Kippur War and Vietnam, readers gain profound insights into the nexus of military operations and political decisions. Kissinger's narrative illuminates pivotal episodes, such as the deliberations surrounding the provision of weapons to Israel during times of crisis.

The meticulous examination of the Yom Kippur War offers Georgian-speaking readers and students invaluable historical context. Kissinger's account furnishes a backstage view of the events shaping international relations from Washington to Moscow. Notably, the book raises thought-provoking queries about the nature of aggression and the obligations of allies in times of turmoil.

Despite the passage of time, the emotions stirred by the book's depictions of military aid requests and political negotiations remain palpable. The divergent approaches to supporting allies underscore the complexities of foreign policy and the significance of strategic decision-making. While the Yom Kippur War stands as a testament to effective alliance management, the fall of Saigon serves as a cautionary tale of intervention gone awry.

We are confident that "Crisis" will captivate Georgian-speaking readers, particularly military officers seeking diverse perspectives on international relations and military strategy. We envision this book enriching discussions and fostering a deeper comprehension of the multifaceted forces that shape our world.

## წინასიტყვაობა

ნამდვილი ბედნიერების მომგვრელია ფაქტი, რომ მოვახერხეთ და ჩვენი ბიბლიოთეკის სერიის ფარგლებში ქართულად გამოვეცით ისეთი ავტორის წიგნი, როგორც ჰენრი კისინჯერია.

კისინჯერს, ალბათ როგორც ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეს ქართველი მკითხველისთვის წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. უნდა ითქვას, რომ როგორც ხშირად ბევრ დიდ სახელმწიფო მოღვაწესთან დაკავშირებით, დოქტორ კისინჯერთან დაკავშირებითაც ორი სრულიად საპირისპირო მოსაზრება არსებობს. ერთის მიხედვით ის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა მშვიდობის დარგში, მეორეს მიხედვით კი დანაშაულებრივი პოლიტიკით მხარს დიქტატორებს უჭერდა. საბედნიეროდ საღი აზრი ნამდვილად დომინირებს და დოქტორი კისინჯერი, ისევე როგორც მისი ნაშრომები მომავალშიც ისეთი აქტუალური იქნება როგორც დღეს და გუშინ. ერთადერთ ლეგიტიმურ, თანაც დღემდე პასუხგაუცემელ კითხვად ალბათ რჩება ის, თუ ვინ უფრო მოგებული დარჩა 1938 წელს, პირადად ჰენრი კისინჯერი, რომელმაც 15 წლის ასაკში ოჯახთან ერთად მოახერხა გაქცეოდა ნაცისტურ გერმანიას ამერიკაში და თავი დაედწია ებრაელთა წმენდისთვის, თუ ამერიკა, რომელმაც ამ სახით XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი შეიძინა.

რაც შეეხება „კრიზისს“ ეს შესანიშნავი დოკუმენტალისტიკაა, რომელსაც მკითხველი შეჰყავს ამერიკის უმაღლეს სამთავრობო კაბინეტებში იომ-ქიფურის ომისა და ვიეტნამის დაცემის დღეებში. მართალია დიალოგებს გარკვეული მონაკვეთები შეგნებულად აკლია, ნაწილი კი ტექნიკური ხარვეზის გამო, თუმცა ეს გარემოება მკითხველს არ უშლის ხელს სრულად ჩაწვდეს ვითარებას, პირიქით, უმძაფრებს ინტერესს და მცირეოდენ სივრცესაც კი უტოვებს ფანტაზიისთვის.

წიგნი შესანიშნავად უჩვენებს, თუ რამდენად ძლიერ არიან ურთიერთდამოკიდებულნი ომი და პოლიტიკა რეალურ ცხოვრებაში, ისევე როგორც სამხედროები და პოლიტიკოსები. რამდენად ძლიერია მათ მიერ ერთმანეთისთვის დაწესებული შესაძლებლობების შეზღუდვები. იომ-ქიფურის ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ ებრაელი ჯარისკაცებისა თუ ტანკისტების ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატება ხელს უხსნის პოლიტიკოსებს და იერუსალიმის უდიდეს მოკავშირეს ვაშინგტონში, ჰენრი კისინჯერს მოქმედების ფართო შესაძლებლობას ანიჭებს, მაშინ როცა ბრძოლის ველზე სამხრეთ ვიეტნამელი სამხედროების მარცხი სრული უუნარობის მიზეზი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში მოყვანილი დიალოგები ორ კრიზისს მოიცავს, უფრო მეტი წილი მაინც იომ-ქიფურს ეხება ვიდრე ვიეტნამს, საერთოდაც ეს უკანასკნელი კრიზისი მხოლოდ ფრაგმენტულად არის აღქმადი, ვინაიდან ვიეტნამის მრავალწლიანი ომიდან, მხოლოდ რამდენიმე უკანასკნელი დღის ანატომიაა მოცემული, იომ-ქიფური კი პირველიდან ბოლო წუთამდეა აღწერილი.

საბედნიეროდ ქართულენოვანი მკითხველებისა და სტუდენტებისთვის იომ-ქიფურის ომის დეტალური ისტორია ქართულად ხელმისაწვდომია, კისინჯერის ისტორია კი ამ ომის მცოდნეთათვის ფასდაუდებელი საჩუქარია. ეს ბრწყინვალე პასუხია იმ კითხვაზე, თუ რა ხდებოდა ბრძოლის ველის ქრონიკებში აღწერილი ურთულესი მოვლენების მიღმა ვაშინგტონიდან მოსკოვამდე.

რთულია რომელიმე ასპექტის გამოყოფა, მაგრამ თანამედროვე ქართველი მკითხველის არაგულგრილ ინტერესს ალბათ ნამდვილად გამოიწვევს 1973 წლის ოქტომბერში იომ-ქიფურის გარიჟრაჟზე ვაშინგტონში კისინჯერის და მისი კოლეგების მიერ დასმული კითხვა - თუ ვინ დაიწყო ომი, ვინ იყო აგრესორი ისრაელი თუ ეგვიპტე? სხვა უცნაურობებთან ერთად იმასაც ვხედავთ, რომ ასეთ ნათელ კითხვაზე პასუხის გაცემას გარკვეული დრო დასჭირდა.

ამდენი წლის შემდეგაც მძიმედ გულსატკენად იკითხება ის მონაკვეთები, რომლებიც ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ისრაელის მიერ მოთხოვნილი შეიარაღების მიწოდებას ეხება. თავდაპირველ ეტაპზე ისრაელი და ბრძოლის ველზე დაქანცული ებრაელთა არმია უშედეგოდ ელოდება სასიცოცხლოდ საჭირო დახმარებას შეიარაღების თუ საბრძოლო მარაგების სახით. ომის დასაწყისში გაურკვეველობაში მყოფ პრეზიდენტ ნიქსონისგან კისინჯერისთვის არცერთი მხარისთვის არ მიმხრობის შესახებ მიცემულ რჩევაზე

უფრო მძიმე ემოციას იწვევს სიტუაციის არ გამწვავების სურვილით კისინჯერის მიერ საბჭოთა კავშირის ელჩისთვის ნათქვამი ფრაზა: „არ ვუპასუხებთ ისრაელის მოთხოვნას სასწრაფო დამატებითი სამხედრო დახმარების შესახებ, მაგრამ თუ მდგომარეობა გაუარესდება იძულებული ვიქნებით მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ“.

თუმცა ერთია თავდაპირველი ფრაგმენტული ემოციები, მაგრამ მეორეა ის რეალური პოლიტიკა, რომლის მენეჯერობასაც კისინჯერი იწყებს მოსკოვის მიერ „მდგომარეობის გაუარესების“ და ცეცხლზე ნავთის დასხმის შემდეგ. შედეგად ისრაელი საკუთარ ისტორიაში ყველაზე დიდ ამერიკულ სამხედრო საჰაერო ხიდს იღებს, ამერიკული შეიარაღებით დატვირთული ამერიკული თვითმფრინავები ყოველ რამდენიმე წუთში ეშვებიან ისრაელში. თუმცა ეს მხოლოდ ნიუანსებია, რომელთა შესახებ ბევრი საუბარი არ ღირს, ვინაიდან ნებისმიერი მკითხველი ვინც ამ წიგნს მოკიდებს ხელს, სიამოვნებით შეძლებს გაეცნოს უფრო მეტ, მრავალფეროვან და საინტერესო ასპექტს.

მთავარი რაც ამ წიგნიდან იკითხება ვაშინგტონის მუშაობის სტილის გარდა, არის ისტორიულ-დოკუმენტური გაკვეთილი იმისა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზანი - დაეხმაროს საკუთარ მოკავშირეს რეალიზებადია მხოლოდ იმ მოკავშირის ძლიერი მოტივაციისა და ბრძოლისუნარიანობის პირობებში, რომლის დახმარებისკენ მისწრაფება არსებობს ვაშინგტონში. ასეთი წარმატების საუკეთესო მაგალითია იომ-ქიფურის ომი, საპირისპირო მარცხის შემთხვევა კი საიგონის დაცემაა.

ვიმედოვნებ რომ კისინჯერის „კრიზისი“ სასიამოვნოდ საინტერესო იქნება ქართულენოვანი მკითხველისთვის. განსაკუთრებული იმედი მაქვს რომ ეს წიგნი ფართო საზოგადოებასთან ერთად დააინტერესებს ქართველ ოფიცრებს, რომლებიც მწვავე დეფიციტს არა მხოლოდ ომის საერთაშორისო ასპექტებთან დაკავშირებული ლიტერატურის, არამედ წმინდა სამხედრო ტექნიკურ, ტაქტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებითაც განიცდიან.